საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა კანტორა პარასკევი, 1 აგვისტო 1919 წ. ფასი 1 მან. № 170

ალეფბეა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადებანი: ... სი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. ... განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16-62.

საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა კანტიის ფანტალური ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოკლულნი ძმები: მღვდელი გაბრიელ, სიკო და პეტრე, დები: ნინა და ქეთო, რძლები: ოლა, სონა და ნინა ედილაშვილები შვილებით, დეიდაშვილი ისაკ სოლომონის ძე გოგიტაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაცვალებას

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ედილაშვილისას

გამოსვენება პარასკევს, 1 აგვისტოს დილის 10 საათზე დავითის ქუჩა, № 37 და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ზენია, მამა გიორგი; დები: სონა, მარიამი, ნინა ბაქრაძე შვილით არჩილით, ელენე უსეინაშვილი ქმრით, მეუღლე სოფიო ივანეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 2 მარიამობისთვეს 1919 წ. ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილ იქნება პანაშვიდი ვერაგულათ მოკლულ 15 ივნისს

იოსეგ გიორგის ძე მახარაძის

სულის მოსახსენებლათ, ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში დილის 10 საათ.

მოღალატეთა ფსიხოლოგია

დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ჩვენს რესპუბლიკას მრავალი მტერი გამოუჩნდა როგორც გარეთ, ისე შიგნით. გარეშე მტრების სულიერი განწყობილება ადვილი ასახსნელია: იმპერიალიზმს, სხვა ერების დაპყრობისა და დაჩაგვრის პოლიტიკას დიდი ბანია შექმნილი აქვს თავისი შესაფერი იდეოლოგია, რომლის საშუალებითაც იგი იდეურ მოტივებით ამართლებს ძალადობას და ნაციონალურს ეგოიზმს. დენიკინელებს, მათ სულის ჩაძდგმელ კადეტებს და ამ კადეტების მაჩანჩალა ესერების ნაწილს გამონახული აქვთ ერთნაირი იდეური გამართლება, რომელიც მათ ნებას აძლევს თავისი სინიდისი ჩაჩუმონ და პატარა ერის თავისუფლების მოსპობა წმინდა საქმედ დასახონ. „დიდი რუსეთის აღდგენა", აი მათი იდეალი, რომლის წინაშეც ყველაფერი უნდა ჩაჩუმდეს და რომელსაც ყველა სხვა მოსაზრება უნდა ზვარაკად შეეწიროს. მეტადრე თუ სიტყვას „რუსეთს" მიუმატა „დემოკრატიული", „მაშინ ხომ თავისი ძალადობა მთლად გამართლებულად მიაჩნიათ.

ეს გარეშე მტრები. მაგრამ ჩვენ სახელმწიფოს შიგნითაც ჰყავს დაუძინებელი მტრები, ერთი მათგანი ოსმალეთში მირბის, ჯარს აგროვებს და სამშობლოს მიწა-წყალს აჭერინებს. როცა ამ საქმეში მარცხი მოსდის, დენიკინთან გარბის და ცდილობს მას ხელი შეუწყოს საქართველოს დაპყრობაში. მეორე დენიკინის აგენტად ხდება და ბათუმში თავს უყრის მოღალატეებს, რომელთაგანაც „კავკასიის კორპუსი" უნდა შეადგინოს. მესამე ცდილობს დაარწმუნოს დენიკინი, რომ აფხაზეთს ქართველებთან საერთო არა აქვთ და დენიკინის შესვლას იქ აღტაცებით მოეგებებიან. მეოთხე ტყუილ ცნობებს აწვდის მტერს, რომ იგი უფრო ძლიერ გააბრაზოს საქართველოს წინააღმდეგ და მისი შემოსევა დააჩქაროს. არის რამე გამაერთიანებელი ამ შინაურ მტრებს შორის? აქვთ, თუ არა, მათ საერთო რაიმე ნიშანი, რომელიც უფლებას გვაძლევდეს, რომ ისინი სულ ყველანი ერთ ჯგუფში მოვაქციოთ?

ამ სხვა და სხვა ჯურის მტრებს ერთი რამ ათანასწორებს—ის მიზეზი, რომლის გამოისობითაც ისინი სამშობლოს მტრებად გადიქცენ. მიზეზი მათი მტრობისა მდგომარეობს იმ ნივთიერ ზარალში, რომელიც მათ მიაყენა (ან შიში აქვთ, რომ მიაყენებს) საქართველოს დამოუკიდებლობამ.

სრულებითაც შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ შერიგებიან აფხაზეთის და ახალციხის სწორედ მსხვილი მემამულეები, რომლებიც მთელ თავის იმედებს ჯერ ოსმალთა ჯარებზე ამყარებდენ, დღეს კი დენიკინზე. შემთხვევითი არ არის, რომ ჯერ ოსმალეთის, მერე დენიკინის მებაირახტრეთ სწორედ ალ. შერვაშიძე გამოდის. ვიღაც სულიერი ავადმყოფი, რომელმაც თავი დადიანის შვილად წარმოიდგინა, დენიკინს აღტაცებულს წერილს სწერს და საქართველოში შემოსასვლელად ფიანდაზებს უშლის ფეხქვეშ. როდესაც გამოირკვა, რომ ეს კაცი ნამდვილი დადიანი არ არის, ჩვენი ყოფილ თავად აზნაურობის იდეოლოგებმა ერთი კიჟინა დასცეს გაზეთ „ბარგა"-ს რედაქციას, რომელმაც ეს წერილი გამოაქვეყნა. მაგრამ ჩაუკვირდით თვით ფაქტს, და მიხვდებით, რომ არავითარი პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ დენიკინის მოპატიჟე და მონარქიის მოთაყვანე „თომა დადიანი", ნამდვილი დადიანი არ გამოდგა.

მსხვილ მემამულეთა სულიერ განწყობილების გამოსაცნობად ისიც კმარა, რომ სულით ავადმყოფ ადამიანის ფსიხოლოგიაში დადიანობის მანიასთან შეუგნებლად განუყრელია სიძულვილი იმ სამშობლოსადმი, რომელიც დადიანებს ყველა მემამულეებთან ერთად მიწების ჩამორთმევას უქადის.

არც ის არის შემთხვევითი მოვლენა, რომ საქართველოს შინაურ მტრებად გადიქცენ ის აფიცრები, რომლებიც ნიკოლოზის არმიაში დაწინაურებულნი იყვნენ და საქართველოს არმიაში კი „კარიერა ვერ გააკეთეს". დაბოლოს, არც ის არის შემთხვევითი მოვლენა, რომ დაწესებულებათა ნაციონალიზაციამ ან სულ უადგილოდ დასტოვა ან უკან ჩამოარჩინა ის ჩინოვნიკები, რომლებიც ნიკოლოზის დროს „ტუზებად" სთვლიდენ თავს.

ყველა ამ მოღალატეების მოქმედებას ერთი და იგივე ბეჭედი აზის: მათი მოღალატეობა მხოლოდ პირად მოსაზრებაზეა დაფუძნებული, იგი აიხსნება პირად ნივთიერ ზარალით, რომელიც მათ მოუვიდათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. იდეურ მოქმედების ნასახსაც კი მოკლებულია მათი მოღალატეობა, პრინციპიალობის მას არა სცხია-რა; რომ მოღალატეობას ზნეობრივი გამართლება მაინც სჭირია, ეს მათ აზრადაც არ მოუვათ. არავითარი მოქალაქეობრივი გრძნობა, არავითარი სახელმწიფოებრივი შეგნება არ ათბობს და არ აცხოველებს მათს არსებას.

უიდეობის, პირადი სირგებლობის, მოქალაქეობრივ მოტივების უქონლობის დადი,—აი რა აერთებს ყველა იმათ, ვინც მოღალატეობის გზას ადგებიან.

პრესა

ერევნის გაზეთ „ჰაიასტანი აშხატავორ"-ში დაბეჭდილია შემდეგი მოწინავე წერილი:

„ამიერ-კავკასიის ერების ცხოვრება ისე მჭიდროთ, ეკონომიური მტკიცე კავშირით არის გადაჯაჭვული, რომ ამ ცხოვრების მოთხოვნით უნდა დაამყარონ თავიანთ შორის მთელი რიგი მეგობრული და საურთიერთო კეთილი დამოკიდებულებისა დღესვე, დამოუკიდებლათ ყოველგვარ პოლიტიკურ პერსპექტივებისა.

„ნაციონალისტური ელემენტების და მათი პრესის მტრულმა და შოვინისტურმა მისწრაფებებმა არ უნდა დაბნელონ ხელმძღვანელი წრეების სახელმწიფოებრივი შეგნება.

„ჩვენმა მეზობლებმა ცხადად და გარკვეულად უნდა შეიგნონ აგრეთვე ის, რომ „გარეშე ძალაზე"—პანისლამიზმზე და პანგერმანიზმზე თავიანთი იმედების დამყარებით არ შეიძლება ბედ-იღბალის გამორკვევა და კეთილ და შეუდრეკელ მეზობლურ დამოკიდებულებათა შექმნა.

„დროა, დაბოლოს, საქართველომ და ადერბეიჯანმა შეიგნონ ეს სიმართლე და დასტოვონ თავიანთი სომხებისაგან გამქცევი და მისი განმაცალკევებელი პოლიტიკა და დაადგნენ ამიერ კავკასიის ხალხების შეერთების და სოლიდარობის თვალსაზრისს. ყველა სერიოზული და შორს-მჭვრეტელი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა უკარნახებდეს მათ პირდაპირ მოლაპარაკებას თავიანთ საუკუნო მეზობელთან.

„უკეთუ ჩვენი მეზობლების ხელმძღვანელი წრეები ამისთანა პოლიტიკურ გულწრფელობით აღიჭურვებიან, ჩვენ დარწმუნებული ვართ, იგინი მალე მონახავენ საერთოს და გასაგები ენას სომხეთის მთავრობასთან, და ბევრი საკითხები, რომლებიც „გადაუჭრელია", ადვილათ გადაიჭრებიან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიუხედავათ შოვინისტური ელემენტების საგაზეთო განგაშისა და იარაღის ჟღარუნისა,—ამ რესპუბლიკებს ცოტა რამ ჰყოფს ერთმანეთისაგან და ბევრი რამ შეაერთებს მათ. წინასწარ პირობით და გულწრფელ სოლიდარობის ჩამოგდებით ურთიერთი დათმობისა, დარწმუნებული ვართ, შეიძლებოდა ბევრი საკითხების გადაჭრა და ბევრი გაუგებრობის თავიდან აშორება.

„ჩვენს მეზობლებს უნდა სისწორე და გულწრფელი სურვილი ჰქონდეთ სადავო საკითხები ურთი ერთი დათმობით და სისწორით გადაიჭრას. სომხეთის მთავრობაც, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ასევე შეხვდება მათ კეთილ-მეზობლურ სურვილებს.

„ვიმეორებთ, მიუხედავათ პოლიტიკური პერსპექტივებისა და საურთიერთო გარეშე დამოკიდებულობისა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები უნდა სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს და სოლიდარობით და სამართლიანობით წინათვე დააბოლოვონ სამი ერის ეკონომიური და საზოგადო ცხოვრების ამფორიაქებელი და დამრღვევი საკითხები".

ყველაფერი ის, რაც ნათქვამია ამ ამონაწერში მეზობელ სახელმწიფოთა შორის დაახლოვების შესახებ, უდავო ჭეშმარიტებაა და ჩვენ სიხარულის მეტი არა დაგვრჩებოდა რა იმის გამო, რომ ეს სწორედ დაშნაკელების ორგანოშია გამოთქმული. მაგრამ ამ უცილობელ ჭეშმარიტების აღიარება დაშნაკელთა მხრით არ აიხსნება თავის წარსულ შეცდომების შეგნებით. მეზობელთა შორის ურთიერთობის გამწვავებას დაშნაკელები თავის თავს კი არ აბრალებენ და თავის პოლიტიკურ ხაზის ძირითად შეცდომით კი არ ხსნიან, ისინი ბრალს ამაში მარტო „ჩვენს მეზობლებს" სდებენ, ესე იგი საქართველოსა და ზერბეიჯანს. გარეშე ძალაზე დაყრდნობას უნდა მხარი ვუქციოთო, ამბობს გაზეთი იმ პარტიისა, რომელმაც სწორეთ იმით მოშხამა ჰაერი რომ განუწყვეტლივ პროვოკაციას ეწეოდა და ეხლაც ეწევა უცხო ძალების ჩვენს საქმეებში ჩასარევად. ჩვენ გვწამებს ორიენტაციის პანგერმანიზმზე ის პარტია, რომელსაც „პან რუსიზმზე" (ხან ბალშევიკურზე დღეს კი დენიკინურზე) ეჭირა და დღემდისაც უჭირავს თვალი. „დათმობაზე" ლაპარაკობენ ზინვორები, რომელთა პირველი და უკანასკნელი სიტყვა მეზობლებთან ლაპარაკის დროს იყო და არის „მაუზერი". „გულწრფელობაზე" ლაპარაკობს ის ხალხი, რომელმაც აღმოსავლეთურ ვერაგობით მოშხამა ხალხთა ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში. ყველაფერი, რასაც „ჰაიასტ. აშხატავორი" ამბობს კეთილ მეზობლობის საკითხებზე, სიმართლეა, მხოლოდ ამ წერილსაც ჩვეულებრივი დაშნაკცაკანურ ვერაგობის და ჭორიკანობის სუნი უდის.

საქართველოს გარეშემო

ფრანგული გაზეთები და საქართველოს დამოუკიდებლობა.

13 ივნისის ფრანგულ გაზეთ „ლოპეი"-ში მოთავსებულია ცნობილ ისტორიკოსის, პროფესორ ოლარის, შემდეგი. წერილი, სათაურით—„დენიკინი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ".

„იმ მრავალ უსამართლობათა შორის, რომლებთაც ჩვენ ჩავდიეართ, ყველაზე უმსგავსი არის ის, რომელსაც ჩვენ ჩავდიეართ, ან ნებას ვაძლევთ, რომ ეს ჩაიდინონ საქართველოს რესპუბლიკის მიმართ: გენ. დენიკინი, მეგობარი და პროტეჟე ჩვენი მთავრობისა, ემზადება მის გასანადგურებლად.

„ერთი წლის წინად გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხის ყველა სასიცოცხლო ძალთა შეერთებული ღონისძიებით ჩაქრობილ იქნა ბალშევიკური ანარქია, დამყარდა სახელმწიფოებრივი მართველობის სისტემა, შექმნილ იქნა ნორმალური პირობები საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მოწვეულ იქნა დამფუძნებელი კრება, რომელიც გამოხატავს მთელი ქართველი ხალხის ნებისყოფას. ამ შემთხვევაში მე ვემყარები მშვენიერ დეკლარაციას, რომელიც ქართველმა დელეგატებმა საზავო კონფერენციას გაუკეთეს.

„თუ ზოგიერთნი უვიცნი კიდევ სთვლიან საქართველოს მმართველ სოციალდემოკრატებს ბალშევიკებათ, მაშინ დაე მათ წაიკითხონ სიტყვა ალბერ ტომას წინასიტყვაობით ახლად გამოქვეყნებულ ბროშიურაში, რომელიც ბ. მჭერმეტყველ წერეთელს წარმოუთქვამს 1918 წლის 26 აპრილს, რუსეთიდან ამიერ-კავკასიის გამოყოფის გამო.

„ბალშევიზმისადმი მძულვარების გამო ამიერ-კავკასია გამოეყო რუსეთს. წერეთელი სასტიკად ჰკიცხავს იმას, რასაც იგი უწოდებს ბალშევიზმის დანაშაულობებს, რომელთა შორის ყველაზე დიდი მისი აზრით არის ის, რომ ბალშევიზმმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა რუსეთის სახელმწიფოებრიობას."

„საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც მთლიანად ანტიბალშევიკურია, შესდგება უმთავრესად სოც.-დემოკრატებისაგან.

„საქართველოს მთავრობამ, რომელსაც სათავეში უდგას ჟორდანია, შესძლო მოეწყო დემოკრატიული წეს-რიგი."

შემდეგ ოლარი ეხება საქართველოში გატარებულ აგრარულ რეფორმის საფუძვლებს და განაგრძობს.

„მე არ შეუდგები მიწის განაწილების წესის დეტალების განხილვას. ვიტყვი მხოლოდ რომ ნამდვილი მიზანი ამ აგრარული რევოლიუციისა მდგომარეობდა არა მიწათმფლობელობის სივრცის გადიდებაში, არამედ იმაში, რომ განთავისუფლებულიყო მიწა და შრომა ქვეყნის ეკონომიური ძალების შემდეგი განვითარებისთვის. ამ საფუძველზე აქამდე ხმარებული პრიმიტიული მეთოდები მიწის დამუშავებისა. შეიძლება შეიცვალოს ინტენსიური კულტურის სისტემით. ქართველი ხალხი სიხარულით და იმედ აღჭურვილი შეუდგება ამ მუშაობას.

„უკეთესათ რომ ვსთქვათ, იგი შეუდგებოდა ამ მუშაობას, რომ ამის საშუალება მისცეს მას დენიკინმა.

„მაგრამ დენიკინი მას ამის ნებას არ აძლევს და უნდა იარაღით ხელში გაანადგუროს ეს დემოკრატია. ეს დემოკრატია მას მიაჩნია უფრო საშიშოთ, ვიდრე ბალშევიზმი, რადგანაც ის ეწყობა დევიზით, რომელიც მოგვაგონებს პოზიტივისტების დევიზს: წესიერება და პროგრესი".

„როგორც უწყებულია, საქართველო დაკავებულია ინგლისის ჯარით, რომელიც ანტანტის სახელით მოქმედობს. ქართველებმა გულით მიიღეს ინგლისის ჯარისკაცები. ინგლისელები დაჰპირდენ ქართველებს, რომ მათი ტერიტორია დარჩებოდა ხელშეუხებელი. მაგრამ მათ არ ესმით, თუ რატომ საქართველო არ უწვდის თავის ხელებს დენიკინის კონტრ რევოლიუციურ ურდოებს. მართალია,

დღეს

მამისონის უღელტეხილზე ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ ოსთა ბრბოები საზღვრებიდან გარეკა და მთელი მთა დაიკავა. სახალხო გვარდიის მობილიზაცია რაჭა-ლეჩხუმში კარგათ ჩატარდა.

ბერძნებსა და ოსმალებს შორის ოსმალეთში ბრძოლაა. ადრინის ბრძოლაში ოსმალებმა 1500 კაცი დაჰკარგეს.

ბალშევიკების ცნობით ინგლისში მაღაროების მუშათა გაფიცვებია.

სამხრეთის ფრონტზე, პოლტავის რაიონში, ბრძოლაა. ბალშევიკების ცნობით კიევსა და პოლტავას შორის კავშირი შესწყდა.

ისინი (ინგლისელები) ეუბნებიან დენიკინს. „წინ ნუ მოიწევთო“, მაგრამ ისინი ნებას რთავენ მის წინ წამოწევას სამოსაზღვრო ინციდენტების საბაბით. მათ (დენიკინელებს) უკვე დაკავებული აქვს საქართველოს ორი ოლქი და საფრთხეს უმზადებენ მის დანარჩენ ოლქებს და ამით დიდ მღელვარებას იწვევენ ქართველებში. თითქმის ოფიციალური ცნობაა, რომ ახლო მომავალში ინგლისელები ინდა შეცვლილ იქნენ იტალიელებით და ამით ამ უკმაყოფილებას ემატება გამოურკვეველობის ელემენტიც.

„ქართველების ეს უკმაყოფილება სრულიად კანონიერია. დენიკინი მტერია ყოველგვარი დემოკრატიისა. თუ იგი შევიდა თფილისში, გაანადგურებს საქართველოს რესპუბლიკას და დაუქვემდებარებს მას ცარიზმის უღელს, რომლის აღდგენისაკენ იგი მიისწრაფის. მისი „მგლის ასეული“ მათრახებით გარეკავს საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

„და ამ დროს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა აძლევს გენერალ დენიკინს მილიონებს, ზარბაზნებს, თოფებს, სამხედრო საგნებს და სურსათს. ნუთუ ეს კეთდება იმისთვის, რომ მან გასჟულიტოს საქართველოს რესპუბლიკა? როგორი სირცხვილია! როგორი უსამართლობაა! როგორი დანაშაულობაა!.. მიუხედავად მრავალჯერ იმედ გაცრუებისა, მე მაინც მსურს ვიმედოვნებდე, რომ შეთანხმების სახელმწიფონი უბრძანებენ დენიკინს, რომ მან მოუსვენოს საქართველოს რესპუალიკას“.

გუსტავ ერვეს გაზეთ „ვიქტუარ“-ში 14 ივნისის თარიღით მოთავსებულია ბიენემეს წერალი:

„საქართველო, რომელიც არის ქრისტიანული ქვეყანა უფრო ძველი კულტურით, ვიდრე თვით რუსეთია, ამ 120 წლის წინად თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს მხოლოდ იმიტომ, რომ აეცდინა ისლამის ბატონობა. მეფესა და სულთანის არჩევანში მან აირჩია მეფე, მაგრამ ეს მას იოლი გულით არ ჩაუდენია.

„ეხლა, როდესაც აღარ არის მეფე და თითქმის აღარ არის სულთანი, სამი მილიონი ქართველობა დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფიან. მათი ენა, ლიტერატურა, ხელოვნება, მათი რელიგიური წესები და ეროვნული გრძნობა,—ყველა ეს ქართველების სამშობლოსთვის შეადგენს საფუძველს იმდენადვე, რამდენადაც ამისთანავე ელემენტები შეადგენენ საფუძველს სომხეთის დამოუკიდებლობისათვის, რომელიც მეზობელია საქართველოსი.

„მაგრამ ქართველებს ერთი აშკარა უპირატესობა აქვთ სომხების წინაშე. ის მდგომარეობს იმაში, რომ თავმოყრილნი არიან თავის საუცხოვო კავკასიაში თფილისსა და შავ ზღვას შუა, ისინი წარმოადგენენ ხალხს, რომელიც ნაკლებად გაფანტულია, ვიდრე სომხები და უცხო ელემენტებიც ნაკლებად ურევია მასში.

„ხალხთა ლიგამ უნდა მიაქციოს ყველაზე სერიოზული ყურადღება საქართველოს მოთხოვნილებებს ისევე, როგორც სხვა კავკასიის ხალხების მოთხოვნილებებს, რომლებიც ძალად არიან შეერთებულნი რუსეთის იმპერიასთან.“

სომხეთში

დაშნაკცუტიუნის ყრილობა.

„ნორ-აშხატავორის“ გადმოცემით აგვისტოს 15-ში ერევანში შესდგება ყველა ქვეყნების სომეხთა რევოლიუციონური პარტიის „დაშნაკცუტიუნის“ მე-9 საერთო ყრილობა. მოხსენებები უეჭველათ უნდა იყვნენ დაწერილი და ხელმოწერილი პარტიის პასუხისმგებელ ორგანოს ყველა წევრების მიერ. მოხსენების ბოლოს უნდა იყოს მოყვანილი კასის ანგარიშიც.

მოწვეულნი არიან რუსეთიდან (ყირიმი, როსტოვი, ჩრდილო-რუსეთი) 2 წარმომ., ბაქოდან—4, შუშიდან—2, განჯიდან—2, ზანგეზურიდან—2, თფილისიდან—4, შავი ზღვის ნაპირები (ბათუმ-სოხუმ-სოჩის ოლქი)—2, ალექსანდროპოლიდან—2, ერევნიდან—4, ყარსიდან—2, თეირანიდან—2, თავრიზიდან—2, ვანიდან—4, ერზერუმიდან—2, შუშიდან—2, ალაშკერტიდან—2, ხარბერდიდან—2, სივაზიდან—2, ტრაპიზონიდან 2, დიარბექირიდან—2, კილიკიიდან—2, სტამბოლიდან—4, ეგიპტიდან—2, ბალკანეთიდან—2, ამერიკიდან—6, პარლამენტის ფრაკციიდან—1, სომხეთის ბიუროდან—1, აღმოსავლეთის ბიუროდან—1. სულ მონაწილეობას მიიღებს 68 წარმომადგენელი.

სომეხ-თათართა შეტაკებები.

სომეხ-თათართა შორის შეტაკებები გრძელდება. სომხური გაზეთების გადმოცემით 28 ივლისს ასეთი მდგომარეობა იყო: სომხეთის მთავრობამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს ბიუკვენდის წარმომადგენლებს დამორჩილდენ სომხეთის მთავრობას. ბაშარაშენის რაიონში, 24 და 25 ივლისის ბრძოლის შემდეგ სომხის ჯარმა ვერ გაუძლო მტრის ზედმეტ ძალას და დაიხია ჩემახჩისა და ზინჯირის სოფლებისაკენ. სადარაკის რაიონში კარაბულაკის მიმართულებით 25 ივლისს თათართა ქვეითი და ცხენოსანი რაზმი 600 მხედრისაგან შემდგარი სოფ. ჯაგლუსთან შეეცადა მდ. არაქსზე გადმოსულიყო. მაგრამ უკუქცეულ იქნენ. სარაყამიშის მიმართულებით ეიბ-ფაშის რაზმმა შეტევა დაიწყო, სომხები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. ნახიჩევანის რაიონში თათრებმა სრულიად მოსწყვიტეს რვა სოფელი, რომლის მცხოვრებნი ბრძოლით ჯართან ერთად წავიდნენ ნახიჩევანისაკენ. ახალ ბაიაზეთის რაიონში თოფებითა და ყუმბარებით შეიარაღებული თათრები თავს დაესხენ სომხურ სოფელ აგდალას, მოჰკლეს 25 დასჭრეს 6 კაცი და წაასხეს 3500 სული საქონელი.

ამერიკის ფქვილი.

თავრიზის სომხური გაზეთ „ზანგის“ სიტყვით, სპარსეთში მცხოვრებ სომხების ხვედრი ფქვილი, რომელიც მათ ამერიკის კომიტეტმა გაუგზავნა, ვიღაც ბოროტმა პირებმა გზაში გაყიდეს. გაზეთი ფქვილის გაყიდვას აბრალებს სომხეთის დაშნაკურ მთავრობის აგენტებს.

უკანასკნელი ცნობები

მამისონის უღელტეხილზე

გვარდიის მთავარმა შტაბმა 31 ივლისს შემდეგი ცნობა მიიღო: „მამისონის უღელტეხილზე 28 ივლისიდან მდგომარეობა ჩვენ სასარგებლოდ შეიცვალა. საღამოს 4 საათზე ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ წინ წაიწია და დაიკავა მთელი მთა. რაჭასა და ლეჩხუმში გვარდიის მობილიზაცია საუცხოვოდ ჩატარდა. ხალხში სულიერი განწყობილება კარგია. გვარდიაში ეწერებიან მოხუცებულებიც.

ლენქორანის გარშემო.

ბალშევიკების „მოლოტის“ ცნობით საბჭოთა ჯარმა ლენქორანი დასტოვა. ქალაქში შევიდნენ მუღანლოელები.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

31 ივლისი.

ინგლისური პრესის ცნობები.

„პტი პარიზიენ“-ი სწერს, რომ სერბიის მეფეს პეტრეს სურს ტახტიდან გადადგეს და მონასტერში ბერად აღიკვეცოს.

ხმებია, რომ ასტრახანი ბოლშევიკების ხელშია.

ანდინის ახლო ბრძოლის დროს ოსმალებმა 1500 კაცი კიდევ დაჰკარგეს. ოსმალეთის აღმოსავლეთის ოლქებში ქურთები დიდ უწესობას ახდენენ. ოსმალეთის მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ქურთების ბრბოებთან და მათ ბელადებთან, მაგრამ არ იციან სახელმბრ რომელი ქურთების წარმომადგენელნი არიან ესენი. დასავლეთ ანატოლიაში მდგომარეობა ძალიან გართულდა. იქა სდგას ბერძნების 50 ათასი კაცი და ოსმალების 2000 რეგულიარული და 15 ათასი გაუწრთვნელი ჯარი. ოსმალეთის რეგულიარული ჯარი ბერძნებს წინააღმდეგობას უწევს სანჯაყის, სმირნის და ყაზის მიდამოების დაჭერაში, თუ დიდი სახელმწიფონი თავის დასტურს არ დასცემენ.

ფრანგული პრესის ცნობები.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ სამშაბათს დილათ ავსტრიელებისაგან 27 ივლისის თარიღით 3 ნოტა მიიღო. პირველში საბჭოს აუწყებენ, რომ ბაუერი გადადგა და საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა კანცლერი რენნერი. მეორე ნოტა თხოვნას შეიცავს, რომ ერთი კვირით კიდევ გააგრძელონ საზავო პირობებზე პასუხის მისაცემად დადებული ვადა, მესამე ნოტაში ავსტრიელები სჩივიან, რომ მეზობელმა ხალხებმა: ჩეხებმა, პოლონელებმა და გერმანელებმა დაპირება არ შეასრულეს და ავსტრიას ქვანახშირს არ აწვდიან. სამშაბათს დილით პარიზში ჩამოვიდა ამერიკის წარმომადგენელი ფოლკი, რომელიც ვილსონის და ლანსინგის მაგიერობას გასწევს კონფერენციაზე, როგორც ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარე.

გერმანული პრესის ცნობები.

ფელდმარშალ მაკენზენს ჯერ კიდევ არ უშვებენ უნგრეთიდან და სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

სტოკჰოლმის გაზეთი, ბრანტინგის ორგანო „სოციალ-დემოკრატენ“-ი გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის დაახლოვებაზე მსჯელობს და მოკავშირეთა სახელმწიფოების გამარჯვებულ კაპიტალიზმს აფრთხილებს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე გადასინჯოს და შესცვალოს საზავო ხელშეკრულება, რათა ხელი შეუშალონ რუსეთის და გერმანიის კომუნისტების შეკავშირებას.

გერმანიის ტრედუნიონების სახელით სასენბახმა ტრედუნიონების საერთაშორისო კონგრესს ამსტერდამში შემდეგი რეზოლიუცია გადასცა: „გერმანელი ტრედუნიონისტები ყოველთვის აღიარებდენ, რომ გერმანია უსამართლოდ ეპყრობოდა ბელგიას და ჰკიცხავდენ გერმანელების სიმკაცრეს ბელგიაში. ბელგიელ მუშათა გადასახლება გერმანიის მუშათა დაუკითხავად მოხდა. ჩვენ, რამდენათაც შეგვეძლო, ამის წინააღმდეგ ვიბრძოდით. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ გერმანია მოგერიებით ომს აწარმოებდა, ომის დასაწყისში დამოუკიდებელთა ბელადებიც კი ასე ფიქრობდენ. გერმანიის მუშათა კლასი სულ ომის და შეიარაღების წინააღმდეგი იყო და მხარს არ უჭერდა მთავრობის იმპერიალისტურ მისწრაფებას, მუშები რომ მთავრობას თავიდანვე შეცდომაში არ შეეყვანა, მათ და მათი ბელადების პოზიცია სხვანაირი იქნებოდა. გერმანელ მუშებს რომ გაეგო, რომ გერმანიამ დაიწყო ომი, მაშინ ყოველი საშუალებით ეცდებოდენ ომის შეწყვეტას. უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ გაიგებდენ და ვერ მოიწონებდენ ჩვენს საქციელს ომის განმავლობაში. მაგრამ ჩვენი საქციელი ხანგრძლივი ომით აიხსნება. ეხლა, როდესაც სიმართლე გამოაშკარავდა, ცხადია, რომ მრავალ იმას, რაც ჭეშმარიტებათ მიგვაჩნდა, ჩვენ არ ჩავიდენდით.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. კიევი. ივლ. 30. **უკრაინის სამსედრო ცნობა.** პროსკუროვის მიმართულებით მოწინააღმდეგე გვავიწროვებს. ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარი მთელი დღე ივლისის 28 იბრძოდა პოლტავასთან ახლოს. ბოგოდესოვის მიმართულებით ჩვენი ჯარი ლოპუხოვო-პარსონოვკას ხაზზე გამოვიდა, დუბნოს დასავლეთით მტერს ძალები მოემატა და სოფ. ხრიანიკი და ტოპაზი აიღო. პროსკუროვის რაიონში მტრის შეტევა გრძელდება. ჟმერინკას რაიონში ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა უკან დაეხია. **კიევი.** ივლ. 29. 20 საათზე პოლტავასთან კავშირი შესწყდა. **ჩრდილოეთის ფრონტი.** ონეგის რაიონში ჩვენ ვუშენსკი და პაშერუცკი დავიჭირეთ. პოროხოვის მიმართულებით ჩვენ ხუთი ვერსით უკან დავიხიეთ. ოსტროვსკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე სოფელი აიღო. დვინის რაიონში ნოვოსენციანის მიმართულებით ჩვენი ჯარი უკან იხევს, პოსტავის სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მტერს ზარალი მივაყენეთ ვილაიკის ძიმართულებით. ეურის რაიონში ბრძოლაა. გაზეთი „ფოსიშეციეტუნგი“ იუწყება, რომ ოსმალოების აჯანყებას ბერძნების წინააღმდეგ იტალიის მხარის დაჭერით მოხდა. იტალია ყველგან ანტიბერძნულ პროპაგანდას აწარმოებს ახალგაზრდა ოსმალების მხარის დასაჭერათ. „ბოლგარსკი დნევნიკი“ იუწყება, რომ სერბიის ჯარი კორინთიაში და მთელი იტალიის საზღვრებზე თავს იყრის. **მოსკოვი.** ივლისის 30. **ნაუენი.** ივლ. 29. ბერლინის ტელეგრაფის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს მუშაობა განაახლონ, რადგან ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის პრეზიდიუმსა და მთავარ სამმართველოს შორის მოლაპარაკებამ დამაკმაყოფილებელ შედეგებს მიაღწია. **პეტროგრადი.** ივლისის 29. ლონდონიდან იუწყებიან, რომ მაღარო, რკინის გზის და ტრანსპორტის მუშებმა სამჯერ ითათბირეს შემდეგ საკითხზე: დრო არის თუ არა, რომ აშკარა მოქმედება დაიწყონ და მიაღწიონ სავალდებულო სამხედრო ბეგარის გაუქმებას და რუსეთის საქმეებში ჩარევის შეწყვეტას. დაადგინეს, საკითხი ხმის უმეტესობით გადასწყდეს. **ლიონი.** ივლ. 30. საფრანგეთისა და ამერიკის შორის ხელშეკრულება დაიდო საფრანგეთისათვის 5 მილიარდ ფრანკის სურსათის შეძენის შესახებ. **ლიონი.** ივლ. 29. მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ რუსეთის და უნგრეთის ბალშევიკები გააფრთხილა, რომ მოკავშირენი ძალას იქნებიან თავის დასაცავად გადამწყვეტი ზომები მიიღონ მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. **ლიონი,** ივლისის 28. უმაღლესმა საერთაშორისო საბჭომ გადასწვიტა დაარსოს კომისია, რომელმაც საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ თვალ-ყური უნდა ადევნოს პირობების ასრულებას. ისპანიის მთავრობამ კოლჩაკთან თავისი წარმომადგენელიც გაგზავნა. **ნიკოლაევი,** ივლ. 30. პეტლიურას დელეგაციამ პარიზში კლემანსოს მოსთხოვა, რომ დაუყონებლივ სცნონ პეტლიურა და ნივთიერი დახმარება აღიოუჩინონ მას ბალშევიკებთან საბრძოლველად. **კოპენჰაგენი.** ივლ. 25. მაღაროს მუშების გაფიცვის გამო ინგლისში გადაწყვეტილია მრავალი წარმოების შეჩერება. დიდსში 200,000 მქსოველია უსაქმოთ, ვიგანში 3000 კაცისაგან შემდგარმა ბრბომ ძალით შესწყვიტა მაღაროებში მუშაობა. იქ ჯარი გაიგზავნა. რკინის გზებს ნაბრძანები აქვს 20 პროცენტით შეამცირონ ყოველგვარი მოძრაობა. ლივერპულში მაღაროს მუშების გაფიცვის გამო ქალაქს სიცოცხლე აღარ ეტყობა. ქვედა პალატაში ბონარ ლოომ განაცხადა, რომ მაღაროს უკვე წყლით ამოივსო, ხოლო 20-ს ასეთივე ბედი მოელის. **ჩერნიგოვი.** ივლ. 29. სდგება მუშათა რაზმები ყანების მოსამკელად. პირველ რიგში წითელი ჯარისკაცთა ოჯახებისთვის იმუშავებენ. რაზმები ყოველგვარ საჭირო იარაღს ღებულობენ.

ახალი ამბები

დღეს საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

✦ **სომეხი ლტოლვილები.** ჩრდილო კავკასიიდან ბათუმში ჩამოყვანილი ლტოლვილები ამ დღეებში თფილისით გაიგზავნა სანაინში. სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული იტყობინება სანაინიდან, რომ თფილისიდან ნუ გაგზავნიან იქ ლტოლვილებს რადგანაც ბევრი მოგროვდა და მათი გაგზავნა სომხეთში ძნელდება.

✦ **გაზ. „კლდის“ დახურვა.** 30 ივლისს, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიხურა მავნე მიმართულებისათვის გაზეთი „კლდე“. დატუსაღებულ იქნა გაზეთის მთავარი თანამშრომელი რ. გაბაშვილი. ამის გამო ეროვნულ-დემოკრატების ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა დამფუძნებელ კრებაში.

✦ **თფილისის სამაზრო ერობის** გამგეობა (ტეხნ. განყ.) აცხადებს, რომ კვირას, 3 აგვისტოს, დილის 11 ს. ერობის ბინაზე (რუსთაველის ქ., 6,) შესდგება კრება დელისის და საბურთალოს (დ. ედელისი) საბოსტნე და საბაღე მიწების მორწყვის შესახებ. დაინტერესებულ პირთ სთხოვენ უეჭველად მობრძანდენ.

✦ **მთავრობამ დაადგინა** მიეცეს სესხად ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას 5 წ. ვადით 5 პროცენტად ხუთი მილიონი მანეთი.

ქუთაისში არსებული საქონლის ჭირის საწინააღმდეგო წამლის (შრატის) დასამზადებელი სადგური დროებით გადატანილ იქნას ციხის-ჯვარში.

✦ **მეოთხე რაიონული კოლექტივი** მოუწოდებს პარტიის წევრებს დაჩქარებით შეეტანონ მიმდინარე წლის საწევრო გადასახადი და მით ხელი შეუწყონ ორგანიზაციულ მუშაობას. ფული მიიღება ბიუროს ბინაზე დილით 10—1 ს., საღ. 5—7 ს

✦ **ქალაქის საბჭოს სხდომა** 1918 წელს მომხდარა 43-ჯერ. 7-ჯერ არ შესდგა სხდომა, რადგან ქვორუმი არ იყო. ამ 43 სხდომას დასწრო 2,345 ხმოსანი. წლის განმავლობაში ხმოსნობაზე უარი განაცხადა ოცდაექვსმა ხმოსანმა 90 ხმოსნიდან ხუთი ხმოსანი ესწრებოდა ყოველ სხდომას, 24 კი არც ერთ სხდომას არ დასწრებია. 1918 წ. საბჭომ მოისმინა სხვა და სხვა საკითხებზე 461 მოხსენება. 1918 წ. მომხდარ სხდომეას სულ მონდომებია—146 საათი და 10 წამი. აქედან შუათანა რიცხვით თითეულ სხდომაზე მოდის 3 საათი და 24 წამი.

✦ **მოკლულის ვინაობა.** 26 ივნისს, საპიორის ქუჩაზე ქურდებთან შეტაკების დროს მოკლული აღმოჩნდა პრაპორშჩიკი პავლე ერმალოზის ძე სკოლპეშკინი, 30 წლ. სკოლპეშნიკოვმა მაშინ მოიკლა თავი, როცა გასაქცევი გზა მოუჭრეს მილიციელებმა.

✦ **ლექცია.** დღეს, საღ. 6 ს. ავლაბრის სახ. უნივერსიტეტის განყოფილებაში შესოგება ლექციები ქართულ ენაზე. ექიმი ტურიაშვილი „სახალხო ჯანმართელობა“. ეპ. ალშიბაია: „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე“.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

პარასკევს, 1 აგვისტოს, საღ. 6 ს. მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგება თფ. პროფ. კავშირთა საბჭოს მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 ს. თავის ბინაზე (19 თებერვლის ქუჩა, 9) შესდგება ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება.

— 1 აგვისტოს, საღამოს 5 ს. დანიშნულია საქარ. სოც.-დემ. მუშ. პარ. სომეხთა სექციის სხდომა. ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს, რომელნიც არიან გამოგზავნილნი კოლექტივების და ქვეკოლექტივების მიერ, დაესწრონ სხდომას (რუსთაველის პროსპ. 24, სექციის ბიურო).

თფილისის ქუჩებში

ერთი შეხედვით, გარეგნულად მაინც, თფილისის ქუჩებში, თითქოს წესრიგი დამყარდა.

აღარ მოისმის წარა-მარა სროლის ხმა, შემცირდა თავდასხმა-გაძარცვის შემთხვევები, მილიციელებსაც უმეტეს შემთხვევაში თავიანთ პოსტებზე ხედავთ, მეეზოვეებიც კი დილაობით ასუფთავებენ ქუჩებს, ქალაქი განათებულიც არის, ზოგიერთ ალაგას სახლებზე ის აფიშებიც კი აფხიკეს, რომლებიც აგრე აუშნოებდა სახლებსა და ქუჩებს.

ეს ყველაფერი კარგია. ამ მხრით წინ მივდივართ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ წეს-რიგის მტრებმა სხვა მხრიდან შემოგვიარეს. ამჩნევს ამას ბევრი მოქალაქე, მაგრამ ქალაქის გამგეობას, მილიციას, არა გვგონია რომ ეს შეეხიშნოს.

მთელი რუსთაველის პროსპექტი მოფენილია კალათებით, კოკებით, ყუთებით, ფეხის მწმენდავებით, მათხოვრებით. ამ ქუჩაზე და აგრეთვე სხვა ადგილებშიაც, გამვლელ-გამომვლელთა რიცხვს ეს მოვაჭრენი არ ჩამოუვარდებიან.

ჰყიდიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, პატარა სპეკულიანტები კოკით მოტანილ წყალს—„ხოლოდნი ვადას“, პაპიროსი — სპიჩკას, ირისს—სხვა და სხვა სახელწოდებისას. არის მთელი დღის განმავლობაში ქუჩაზე დაუსრულებელი ყაყანი. გათავხედებულ ქუჩის ბიჭებს ტონიც თავხედური აქვთ...

ბევრი მოქალაქეა ამ მოვლენით უკმაყოფილო. ამბობენ, ქალაქი მათ ფულს ახდევინებსო. არ ვიცი რამდენათ შემოსავლიანი საქმეა ქალაქისთვის ეს დარგი, მაგრამ არა გვგონია ის გამოასწორებდეს ქალაქის დეფიციტს.

ამასაც რომ თავი დავანებოთ,—აბა რა ვაჭრობაა ეს კალათები, ყუთები, კოკები შიგ შუაგულ ქუჩაში, ტროტუარზე... თვით „მოვაჭრეებსაც“,—პატარა ბიჭებსაც, ცუდ სამსახურს ვუწევთ. მის მაგივრათ, რომ რაიმე ნაყოფიერი შექმნას პატარამ, ისწავლოს და შეეჩვიოს წესიერ შრომას, მთელი დღე დგას ქუჩაში და გაჰკივის—გამვლელ-გამომვლელსაც თავს აბეზრებს და თავსაც იხეთქავს.

ჩვენის ფიქრით, კულტურულ ქალაქში საქმე ასე იქნება მოწყობილი: ის საქონელი, რომელიც ჩვენში კალათებით ქუჩებში გამოფენილი, უპირველესად ყოვლისა გაიყიდება ამის. თვის დანიშნულ სავაჭროებში და ამას გარდა, ქუჩებში ამისთვის საგანგებოთ აშენებულ ფარდულებში ასევე განსაზღვრული იქნება ფეხის მწმენდავთა რიცხვიც ქუჩებში. დაუშვებელი იქნება ამ მხრით „მოვაჭრეთა“ კონკურენცია, რაკი ისინი „პატენტს“ აიღებენ. მივბაძოთ მაინც კულტურულ ქალაქებს...

ამას გარდა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქუჩებში მოხეტიალე მათხოვრებს. ხან ერთი აგედევნება ქუჩაში და ხან მეორე და ასე დაუსრულებლივ. უკანასკნელ დღეებში ასეთი სურათის მოწამეც ვიყავი: ორი პატარა ქალი ხან ერთ მოსეირნეს გადაეღობებოდენ, ხან მეორეს და სხვადასხვა სიმღერებით მანამ არ უშვებდენ, სანამ ფულს არ გადაახდევინებდენ.,.

ბოლო უნდა მოეღოს ქუჩებში მათხოვრობას! ჩვენის აზრით, ქალაქს თუ სხვა საღსარი არ მოეპოვება ნამდვილი მათხოვრების ე. ი. შრომის უნართა დაკარგულების შესანახად, საგანგებო გადასახადი შემოიღოს. მაშინ, დარწმუნებული ვართ, მოქალაქე უფრო კმაყოფილი იქნება, ვიდრე დღეს, თუმცა მას ასეთ გადასახადს არ ახდევინებენ, მაგრამ სადაც უნდა გაიაროს, ყველგან სამათხოვროდ გამოწვდილი ხელი ხვდება როგორც ჯანსაღთა, ისე შრომის უნარ დაკაოგულთა.

ვიმედოვნებ, რომ ჩემი ნათქვამი არ დარჩება „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

მოქალაქე.

უცხოეთი

განზრახული გაფიცვის ჩაშლა საფრანგეთში.

21 ივლისს საფრანგეთში განზრახული იყო საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება, რომელსაც აწყობდა შრომის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ჩაიშალა. ამ გაფიცვას წინ უძღოდა დიდი კამპანია მის წინააღმდეგ ბურჟუაზიული პრესისა. ამის გამო 18 ივლისს მარსელ კაშენი „ჰუმანიტე“-ში სწერდა: „მუშები მოითხოვენ თავის ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას, დემობილიზაციის მოხდენას, სასურსათო საკითხის მოწესრიგებას; მუშები უკმაყოფილონი არიან მთავრობის პოლიტიკით რუსეთის და უნგრეთის შინაურ საქმეებში ჩარევის გამო“.

გაფიცვა ჩაიშალა, რადგანაც ზოგიერთმა კავშირებმა მას მხარი არ დაუჭირა.

მდგომარეობა ჩინეთში.

გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი 10 ივნისის თარიღით იტყობინება, რომ მდგომარეობა ჩინეთში ფრიად სერიოზულია. საზოგადოებრივი წრეები ძლიერ აღელვებულნი არიან, გზათა მინისტრის, ხაზინის მთავარ დირექტორის და ტოკიოს ელჩის მოქმედებით. მათ აბრალებენ ჩინეთის გაყიდვას (ნაგულისხმევია იაპონიასთან ხელშეკრულება). ჩინეთში დიდი გაფიცვებია, შესაძლებელია სულ მთლად შესწყდეს რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის მოძრაობა. მთავრობის წინააღმდეგ დიდ ოპოზიციას აწარმოებენ.

შანტუნის ნახევარი კუნძულის იაპონიის ხელში გადასვლამ დიდი აღელვება გამოიწვია. დიდი მტრული განწყობილება სუფევს იაპონელების მიმართ. ზოგიერთ ადგილებში ევროპიელების წინააღმდეგ დემონსტრაციები გაიმართა. გზათა მინისტრი უკვე გადადგა, ამან მაინც ვერ დააკმაყოფილა ხალხი. მოითხოვენ სხვა თანამდებობათა პირების გადაყენებასაც. რეიტერის გადმოცემით მთავრობა ცდილობს ლიკვიდაცია მოახდინოს გაფიცვის. შანხაიში გაფიცულებს და პოლიციელებს შორის მოხდა შეტაკება. ერთი მოკლულია, დაჭრეს ცხრა.

საყოველთაო სწავლების შემოღება

(განათლების სამინისტროს მოხსენებიდან)

საყოველთაო სწავლების შემოღება ისეთს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის, რომ სრულიად ზედმეტად უნდა ჩაითვალოს მისი თეორიული დასაბუთება. მართალია, ფრიად რთულია ეს საკითხი და მეტად ძნელია მისი პრაკტიკულად განხორციელება, განსაკუთრებით რესპუბლიკის მძიმე ფინანსიურისა და ეკონომიურის მდგომარეობის გამო, მაგრამ სწორედ ეს მდგომარეობა გვიკარნახებს ამ სერიოზული საქმის დაჩქარებას და სასურველად მოწესრიგებას.

ამ საკითხის შესახებ წინასწარი მუშაობის წარმოების დროს, სახალხო განათლების სამინისტრომ უკვე გადასდგა ზოგიერთი პრაკტიკული ნაბიჯები და შეკრიფა ისეთი მასალა და ცნობები, რაც შედარებით გაადვილებს შემდეგ მუშაობას.

ამ მიზნით მან თავისი ცნობები შეავსო ერობა-ქალაქების თვითმართველობათაგან მოწოდებულ ცნობებითა და მასალებით, დაიმუშავა იგი საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით და შეადგინა საერთო მიზანშეწონილი გეგმა.

პირველყოვლისა საჭიროა აღძრულ საკითხის ზოგიერთი პრინციპიალური მხარეების გათვალისწინება და გადაჭრა, რომელთა შორის აღსანიშნავია, მაგალითად, შემდეგი:

1) როგორი უნდა იყოს საყოველთაო სწავლება? 2) რა ხასიათის უნდა იყოს იგი: წმიდა საზოგადო განათლებისა, თუ დაბალ სპეციალურ ცოდნასაც უნდა იძლეოდეს ასეთი სწავლება? 3) რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს საყოველთაო სწავლების კურსი? 4) როგორი ასაკის ყმაწვილთათვის უნდა იყოს იგი სავალდებულო, ან რომელი წლიდან უნდა იწყებოდეს საყოველთაო სავალდებულო სწავლება? 5) ვინ, ან როგორ ანხორციელებს და ხელმძღვანელობს საყოველთაო სწავლებას? ვის უფლება-მოვალეობას შეადგენს მაზედ ზრუნვა?

ამ კითხვების შესახებ განათლების სამინისტროს უკვე შემუშავებული აქვს თავის გარკვეული შეხედულება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას საყოველთაო სწავლებას.

1) მაგალითად, სამინისტროს აზრით, მიუხედავათ იმისა, რომ ამ საქმის განხორციელებას ხელს შეუშლის ხალხის ფართო მასსის ჯეროვანი მოუმზადებლობა და ამასთანავე ამით გამოწვეული ხარჯი მძიმე ტვირთად დააწვება ისედაც შევიწროებულ სახელმწიფო ხაზინას, საყოველთაო სწავლება უნდა იყოს ყველასათვის **სავალდებულო და უფასო.** დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის შვილს უნდა შეეძლოს ასეთს სკოლაში სწავლა-განათლების იმ აუცილებელი მინიმუმის მიღება, რომელიც სავალდებულოდ იქნება ცნობილი სახელმწიფოსაგან. მაგრამ, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი წრის მოქალაქე მოისურვებს საკუთარს ხარჯზე აღზარდოს შვილი პირველი საფეხურიდანვე, ამიტომ შესაძლებელია ასეთი წრის მოქალაქეთა შვილებისათვის სავალდებულო არ იყოს სახელმწიფო სასწავლებელში სწავლის მიღება. სახელმწიფოს შეუძლიან ასეთი ბავშვებისათვის დასტოვოს თავისუფლება სწავლებისა, მხოლოდ მათი სავალდებულო ცოდნის შესამოწმებლად დააწესოს განსაკუთრებული კონტროლი.

2. საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლებას უნდა ჰქონდეს **საზოგადო განათლების ხასიათი,** ვინაიდან ამ საფეხურზე რაიმე სპეციალური, თუნდა პრიმიტიული, ცოდნის შეძენაც არ არის მიზანშეწონილად ცნობილი: მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ საფეხურზე სწავლების მეთოდი უნდა იყოს ისეთი, რომელიც პირველ დაწყებით სწავლას აახლოებს დაბალი სპეციალური ცოდნის შეძენასთან, ე. ი. მეთოდი უნდა იყოს ზედმიწევნით თვალსაჩინო, საგნობრივი, ამერიკული.

ამ პრინციპის მიხედვით დღევანდელ სახალხო სკოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა და საპატიო ადგილი ეთმობა ხელსაქმე-ხელგარჯილობის სწავლებას, მაგრამ ივი შემოღებულია არა როგორც წმინდა სპეციალური საგანი, არამედ როგორც დამხმარე საშუალება, როგორც მეთოდი საზოგადო განათლების სასწავლო საგანთა უკეთ შესათვისებლად. ამ მიზნით ხელსაქმე-ხელგარჯილობა უკვე შეტანილია პირველ დაწყებითი სკოლის სასწავლო საგნების სიაში, სადაც მათ თვითეულს განყოფილებაში ორ-ორი კვირეული გაკვეთილი აქვს დათმობილი.

3. უფასო საყოველთაო სახელმწიფო სკოლებში სასწავლო წლების რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით, თუ როგორ მიზანს დაისახავს ასეთი სასწავლებელი. ვინაიდგან რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობისა და საერთო ბიუჯეტის მიხედვით სახელმწიფოს ჯერ დიდი შეუზომელი ხარჯების გაწევა არ შეუძლიან, ამიტომ საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ დაბალი საზოგადო განათლების პირველ საფეხურზე, ე. ი. **ოთხწლიანი კურსის პირველ ღაწყებით სასწავლებელში,** შემდეგ კი შესაძლებელია სახელმწიფომ იკისროს მეორე საფეხურის უფასო სწავლებაც, ე. ი. უმაღლეს დაწყებით სასწავლებელშიაც და ამასთან ერთად შეიძლება მოხდეს გაერთიანება ორივე საფეხურის სკოლისა. მართალია, ხანდახან წმინდა ფინანსიურის მოსაზრებით და დროს მოგების თვალსაზრისით ᲗᲐ განყოფილებიან პირველ დაწყებითი სასწავლებელს უპირენ მხარს, რაც ამ მხრივ თითქმის ანგარიშ გასაწევიც უნდა იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებ ამ მოსაზრებას, რომ პირველ დაწყებითი სასწავლებელი რამდენათმე მაინც დამთავრებულ-დასრულებული ხასიათის ცოდნას უნდა იძლეოდეს, სამი წელიწადი ამისათვის ძალიან ცოტა იქნებოდა:ამ ხნის განმავლობაში ყმაწვილი რიგიან წერა-კითხვასაც ვერ შეისწავლის, არა თუ შეიძენს იმ საჭირო ცოდნას, რომელიც წერა-კითხვასთან ერთად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სახელმწიფოს ყოველი წევრისათვის. ასეთია, მაგალითად არითმეტიკისა, სამშობლოს აღწერისა, საქართველოს ისტორიის მოკლე კურსისა, ბუნების მეტყველების ელემენტარულ საფუძვლებისა და სხვათა შესწავლა. ცხადია, რომ ასეთი ცოდნის შეძენა ამ საფუძველზე აუცილებელ მინიმუმად უნდა იქნას ცნობილი და მიღებული.

4. სწავლის დაწყების ასაკად თითქმის ყველგან ცნობილია 7 წელიწადი და უკეთუ ეს ხანა სხვა ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით ჩრდილოეთისათვის, შესაფერი და მოწონებულია, ცხადია, ჩვენთვის, სამხრეთის ბუნების შვილთათვის, იგი უფრო მისაღებია, ამიტომ ჩვენს პირველ დაწყებით სასწავლებლებშიაც 7 წლის ბავშვები უნდა მიიღებოდნენ, ხოლო პირველ წლებში, საყოველთაო სწავლების შემოღების დროს, შესაძლებელია, როგორც გამონაკლისი, მიღებულ იქმნან პირველ განყოფილებაში 8, 9 და 10 წლის ყმაწვილებიც.

5. რაც შეეხება იმას, თუ ვინ და როგორ ანხორციელებს საყოველთაო სწავლებას, ვინ ხელმძღვანელობს მას, ეს საკითხი დაკავშირებული უნდა იქმნას სხვა მრავალ საკითხებთან, რომელთა შორისაც პირველი ადგილი მთლიანი, გაერთიანებული სკოლის შექმნის იდეას უნდა ეკუთვნოდეს, მეორე კი საყოველთაო სწავლებისა და ამ იდეის თანდათანობით, სისტემატიურად და მთელს რესპუბ. ტერიტორიაზე ერთნაირად შესრულების გეგმას, საერთო სახელმწიფოებრივის თვალსაზრისის მიხედვით. ცხადია ამ ორი დიდი პრინციპიალური საკითხის შემუშავება და საბოლოოდ გადაწყვეტა საკანონმდებლო დაწესებულების კომპეტენციას შეადგენს და ამიტომ მისი ხელმძღვანელობა და განხორციელება იმ ორგანოს უნდა მიენდოს, როჭელიც ამ მოვალეობას კანონმდებლობითვე მიღებულის წესის თანახმად. მაგრამ ვინაიდან საყოველთაო განათლებას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ამიტომ მის განხორციელებას თვით რესპუბლიკა უნდა ხელმძღვანელობდეს თავისი ცენტრალურისა და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების საშუალებით. ამისათვის ამ საქმეში დიდსა და ენერგიულ მონაწილეობას უნდა იღებდეს ფართო საზოგადოებრივი თვით მოქმედება სახალხო განათლების სამინისტროს საერთო ხელმძღვანელობით, სადაც უმთავრესი და უახლოესი მზრუნველობა სკოლის მოწყობისა და საზოგადოდ სამეურნეო ხარჯების მხრივ და აგრეთვე საერთოდ სახალხო განათლების განვითარებისათვის ადგილობრივმა ორგანოებმა, ერობათა თვითმართველობებმა უნდა იკისროს მხოლოდ მასწავლებელთა ჯამაგირებით დაკმაყოფილება და საერთო ხელმძღვანელობა.

(შემდეგი იქნება).

ქართველ მწერლებისადმი

ქართველ მწერალთა კავშირის გამგეობას განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს დიდი ფორმატის ლიტერატურული კრებულის პირველი ნომერი.

ასეთი კრებულის გამოცემის აუცილებლობას საბჭო თავიდანვე გრძნობდა, მაგრამ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები,—ტეხნიკური, მატერიალური და სხვ., ხელს უშლიდნენ ამ აზრის განხორციელებას.

ამ ჟამად ეს დაბრკოლებანი თითქმის გადალახულია, ვინაიდან ხსენებულ კრებულის გამოცემის საქმე თავს იდვა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა.

სდგება რა, ამგვარათ, მკვიდრ ნიადაგზე საქმე კრებულის გამოცემისა, კავშირის გამგეობა მიმართავს ქართველ მწერლებს თხოვნით, გამოგზავნონ თავიანთი ნაწარმოებები კრებულში მოსათავსებლათ პირველ სექტემბრამდე. კრებულში იქნება შემდეგი განყოფილებანი: პოეზია, ბელეტრისტიკა, ესტეტიური მხატვრობა, (მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, ქანდაკება და სხვ.)

თანახმად მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებისა, უკვე არჩეულია სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც შედიან ბ. ბ. ს. აბაშელი, აკ. პაპავა, გრიგოლ რობაქიძე და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელი ბ-ნი ივ. ცაგარელი.

ვინაიდან მასალების გასაცნობათ და შესაფასებლად რედაქციას ერთი თვე მეტად მცირე დროთ მიაჩნია, საბჭო სთხოვს მწერლებს კრებულისათვის გამოგზავნონ მეტად შერჩეული მასალა. მასალები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: თფილისი, ქალაქის გამგეობა, გამგეობის წევრს აკაკი პაპავას. კრებულისათვის.

ქართველ მწერალთა კავშირის **გამგეობა.**

ფრონტისთვის

წაღვერში დიდებულათ იდღესასწაულეს ფრონტის დღე. რამდენიმე დღის წინეთ აქ შესდგა დღის მომწყობი კომისია, რომელმაც შეიმუშავა დღის წესრიგი და შეუდგა მუშაობას. დღესასწაულის პირველ დღეს კომისიამ ჩამოიარა ბინები და ხელის მოწერით შეუდგა ფულების მოგროვებას. ხალხი სიამოვნებით იღებდა წვლილს. გათენდა მეორე დღე. ნაცვლად წინა დღის ღრუბლიან ამინდისა მზიანი დღეა. ხალხი თავს იყრის სადგურზე. დილის 8 საათზე გამოჩნდება ბორჯომიდან დროშებით მორთული მატარებელი სამხედრო მუსიკით. მასთან ერთად ჩამოდის დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. ლ. რუხაძე. სადგურიდან ხალხი მიემართება დროშებით და მუსიკით პარკისკენ. აქ ორკესტრის მიერ შესრულებული იქნა ქართული ჰიმნი. ამის შემდეგ იმართება სეირნობა, ავროვებენ ყულაბებით ფულს, ყიდიან სურათებს. საღამოს ადგილობრივ თეატრში ქართული დასის მონაწილეობით გამართულ იქნა საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღეს სხვათა შორის ვ. რუხაძემ და ი. გრიშაშვილმა, რომლებმაც დროს შესაფერი ლექსები წაიკითხეს, რითაც ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა. ღამის 12 საათზე ხალხი მეტად ნასიამოვნები დაიშალა. წმინდა შემოსავალი დარჩა 10,000 მ. მადლობის ღირსნი არიან მსახიობნი ბ.ბ. აბაშიძე, იმედაშვილი და სხვა შემადგენლობა დასისა, რომლებმაც სრულად უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა საღამოში, დანიშნული იმ საღამოსთვის თავიანთი წარმოდგენა გადადვეს და თეატრიც უფასოთ დაუთმეს ამ დღეს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი არა სასიამოვნო მოვლენა, რომელსაც ჰქონდა აქ ადგილი. ადგილობრივ ტყის გამგემ მოსთხო-

ვა კომიტიას, რომ მას ყოველგვარი ანგარიშები ჩაებარებია მისთვის, რომელიც შემდეგ თავის სახელით გადასცემდა დანიშნულებისამებრ. ეს წინადადება კომისიამ არ მიიღო და ამ ნიადაგზე უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი.

ანქანი.

ფრონტის დღე და ნაციონალ-დემოკრატები.

(წერილი თელავიდან)

როცა ჩვენ ნაციონალ-დემოკრატებს რეაქციონერებს ვეძახით, ისინი ძალზე ბრაზობენ, ცოფს ჰყრიან და ქვეყანას ეფიცებიან: ჩვენზე კარგი დემოკრატები და სამშობლოს მოყვარულნი არავინ არისო, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარიო". ამათ მშრომელი ხალხი უნდო თვალით უყურებს და ამის საბუთს თითონ ჩვენი პატრიოტები აძლევენ. მოგეხსენებათ, რომ მკათათვის 19 და 20 ფრონტის დღეებით ყველა ჩვენი ბედით დაინტერესებული აღფრთოვანებული იყო და თავის თავს მოვალეთ ხდიდა, რომ ამ დღეს რაც შეიძლებოდა უკეთესათ ჩაევლო და განა სხვანაირად შეიძლებოდა? განა ფრონტი არ არის ჩვენი სამშობლოს და დემოკრატიის ბედის მატარებელი? განა მასზე არ ჰკიდია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხი? მაგრამ იცით როგორ შეხვდენ ფრონტის დღეს ნაციონალ-დემოკრატები? თითქმის ბოიკოტი გამოგვიცხადეს. თქვენ ვერ ნახავდით ვერც ერთ კაცს 19-ში გამართულ წარმოდგენაზე, არ სჩანდა არც ერთი ნაციონალ-დემოკრატი იმ დიდ სეირნობაზე, რომელიც იყო გამართული ფრონტის სასარგებლოთ, 20 მკათათვეს; ამას გარდა, მათ პატარა სიყალბეც ჩაიდინეს: დაგვპირდენ ყულაბებს ჩვენ ვატარებთო. ჩვენც ველოდით მათ პარტიულ „ბარიშნებს" და „კავალრებს", მაგრამ ლოდინში დაალამეს დღე და ყულაბებით ფულის მოკრეფა მათი წყალობით ვერ მოხდა. ასეთი სამსახური გაუწიეს ნაციონალ-დემოკრატებმა ფრონტის დღეებს. დაშნაკელებზე ხომ ლაპარაკი მეტია.

სოსო.

საადგილ-მამულო რეფორმა

მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში მიღებული ცნობებით მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე ახალციხის მაზრაში საადგილ-მამულო კომისიებს სახელმწიფო ფონდში მიუღიათ:

ქობლიანის რაიონში 33255 დეს. 175 კვად. ს.
ურაველის „ 13905 „ 158 „ „
აწყურის „ 11571 „ 1370 „ „

სულ მაზრაში მიუღიათ 58731 დეს. 1903 კვად. საჟ. ახალქალაქის მაზრაში კი—5321 დეს. 150 კვად. საჟ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 24 ივლისს, შესდგა საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება. დაესწრო 18 წევრი. თავმჯდომარეობს ამხ. ლ. ასათიანი. დღის წესრიგში შემდეგი კითხვებია: მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, მოხსენებები ადგილებიდან, ამხ. ლოგუას საქმე, გიორგაძის საქმე, განცხადებები.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. თევზაძე. ვინაიდან მოხსენებაში საკამათო არაფერი იყო, კრება ღებულობს მას ცნობათ და გადადის მორიგ საკითხზე.

რკინის გზის საავადმყოფოს ამხანაგების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფერაძე. ის რკინის გზის სამმართველოს მცირე კოლექტივის სახელით ითხოვს კოლექტივიდან ან თფილისის კომიტეტიდან ერთ ამხანაგს, რომელიც მცირე კოლექტივთან ერთად გამოარკვევს რკინის გზის საავათმყოფოს ამხანაგობაში აღმოცენებულ გაუგებრობას მიზეზებს და დააყენებს მათ სწორ გზაზე. კრება ეთანხმება მომხსენებელს და ირჩევს ამხ. ფ. ლორიას.

ამხ. ლოგუას საქმეს შესახებ მოხსენებას აკეთებს წარსულ კრებაზე კოლექტივის მიერ ამორჩეული საგამომძიებლო კომისია. კრებამ მოისმინა რა მოხსენება, მცირე კამათის შემდეგ, დაადგინა: გაუქმდეს რკინის გზის სამმართველოს მცირე კოლექტივის დადგენილება ამხ. ლოგუას პარტიიდან დროებით გადაყენების შესახებ, გამოეცხადოს ამხ. ლოგუას სრული ნდობა და თანაგრძნობა და განაგრძოს მუშაობა, როგორც პარტიაში ისე ორგანიზაციაში. ამხ. ლოგუას პარტიიდან გადაყენების ნამდვილი მიზეზების გამორკვევა დაევალა ისევ იმ კომისიას.

რკინის გზის სამმართველოს მცირე კოლექტივის მიერ ამხ. ლოგუაზე ასეთი დადგენილების გამოტანის შესახებ, საკითხი რჩება ღიათ კომისიის მიერ საქმის გამორკვევამდე.

კრება ადასტურებს რკინის გზის სამმართველოს მცირე კოლექტივის დადგენილებას და რიცხავს პარტიიდან მე-18 მუხლის ძალით ნ. გიორგაძეს.

კრება ადგენს მიეცეს ჯერ-ჯერობით ჩუღურეთის მცირე კოლექტივს 30 მანეთი ყოველთვიურად აუცილებელი ხარჯების დასაფარავად.

ამხ. გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ერთობის უბნის მცხოვრებნი მეტად ცუდი მდგომარეობაში არიან განათების მხრით. ქალაქის თვითმართველობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათ. მას მიუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია ერთობის უბნის განათება.

ამხ. ს. თევზაძე ერთობის უბნის ამხანაგების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ასეთი შემთხვევებში საჭიროა ქალაქის თვითმართველობის სოც.-დემ. ფრაქციაში წერილობით განცხადების შეტანა, და თუ არის საშუალება, აუცილებლად დაკმაყოფილებული იქნება მათი კანონიერი მოთხოვნილება. საქართველოს ს. დ. მ. პ. სომხური სექციის თხოვნის თანახმად მათ კრებაზე დასასწრებლად კრება ირჩევს ამხ. ქიტიაშვილს და სთხოვს ყველა მცირე კოლექტივებს გაგზავნონ ამ კრებაზე ამხანაგები.

მდივანი ალ. ბზიავა.

მუშათა შორის

თფილისი. ჩვენ თფილისის არტილერიის საწყობის მუშა-მოსამსახურენი, წევრნი ლიტონზე მომუშავეთა კავშირისა, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ საჯაროთ იმ უტაქტიკო მოქმედებისთვის, რომელსაც აწარმოებს აღნიშნული კავშირის საერთო წევრთა კრება. კრებებზე ისმება და ირჩევა ისეთი საკითხები, რომელიც სრულიად არ შედის კავშირის ფუნქციებში, მაგალითად: 26 ივლისს კრებაზე გამგეობის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი კრებამ შესცვალა და მესამე საკითხი დატყვევებულ ამხანაგების შესახებ დასვა პირველ კითხვათ. ამ კითხვის გარშემო ასტეხეს განგაში ეგრედ წოდებულმა კომუნისტებმა, მიჰყვეს ხელი აგიტაციას მთავრობის საწინააღმდეგოთ, რამაც კრება სავსებით არივ-დარია და შედეგათ ის მივიღეთ, რომ ისეთი საკითხი, როგორიც არის სატარიფო პალატის დადგენილების განხილვა, რომელიც პირდაპირ ჩვენს მოვალეობას შეადგენდა, დარჩა განუხილველი.

ამხანაგების მონდობილობით ა. ჩოლოქიანი-პირელი, შ. ფარცხმელი.

პროვინცია

ქართლში. თუ სადმე აქეს ჩვენ მიწის რეფორმას მნიშვნელობა—უპირველესად ყოველისა ქართლში. ვინც კარგად იცნობდა ქართლში რევოლიუციამდე არსებულ ურთიერთობას შეშამულეთა და გლეხებს შორის, ის ნათლად წარმოიდგენს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის რეფორმას საქართველოს ამ ნაწილისათვის. ამ რეფორმამ ძირიანად მოსპო ფეოდალიზმის ნაშთები აქ და გზა გაუკვლია ახალ განვითარებას, უფრო კულტურულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ამიტომ იყო, რომ მთელი ქართლის გლეხობა, რომლის გულში დიდი ხნის დუღული იყო და ამ ერთი-ორი წლის წინად ლამობდა არა კულტურულ ფორმებში გადმოხეთქვას, თანდათან დაცხრა და მთელი თავისი გული და ყური რევოლიუციური მთავრობის მიერ წარმოებულ რეფორმას მიაპყრო. საგრარო კომისიებმა ენერგიულად დაიწყეს მუშაობა და ესლა თითქმის მთელი მამულები (ნორმისა და კერძო საკუთრების გარდა) გადასულია საფონდოთ. ამ ჟამად მუშაობენ მიწის დამრიგებელი კომისიები და ალბად გაზაფხულამდე მოთავდება ეს მუშაობა და ამ რთული საკითხის გადაჭრაც მიწურულში მივა. გლეხობამ დანამდვილებით ჯერ არ იცის, რა ფასები ექნება ფონდში გადასულ მიწებს, როცა მათ გლეხებს დაურიგებენ, მხოლოდ 200 (სარწყავზე) და 150 (ურწყავზე) თუმანი დესეტინაზე ეძვირება. ყოველ შემთხვევაში გლეხობა ასე ფიქრობს, რომ თუ დაახლოვებით ამისთანა ფასები იქნება, მაშინ ღარიბ გლეხებს (უმიწაწყლო გლეხები კი ყველა ღარიბებია, ფული ისევ მდიდარ და ცოტად თუ ბევრად შეძლებულ გლეხებს აქვთ დაგროვილი სოფლად) მისცენ გრძელი ვადა, რომ შეიძლონ ამ ფასის გადახდა. თუ ვის რამდენი ხანი დააცადონ, ამის გადაჭრას ადგილობრივი საგრარო კომისიები და წვრილ ერთეულების ერობის გამგეობები მოახერხებენ. მაგრამ ამით ეს დიდი საკითხი საბოლოოდ ვერ დასრულდება: კანონის ერთ მუხლში არის ნათქვამი, რომ მიწებიდან აღებულ ფულით შესდგება ფონდი, რომლის საშუალებით სახელმწიფო დაეხმარება გლეხობას მანქანებით, ინვენტარით და საერთოდ ყოველგვარი სამეურნეო იარაღით, რომ მიწები უფრო კულტურულად და ინტენსიურად დამუშავდეს. აქეთკენ უნდა გადიდგას ნაბიჯები ჩვენი სამინისტროს მიერ, რადგანაც ქართლში, სადაც მიწადმოქმედება პირველი და უმთავრესი დარგია მეურნეობისა. ამ მხრივ დიდი მოთხოვნილებაა. ზოგ ოჯახს უკვე შეუძენია სანიავებელი მანქანები, არის სალეწიც, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. დახმარება ამ მხრივ რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოეწყოს სახელმწიფოებრივი გზით და წესით. მიწები წელს თითქმის სულ მოხნულია ქართლში, მაგრამ წრევანდელმა ნოტიო ამინდმა ყანები გააფუჭა და მოსავალი ჭინახულისა ვერ არის კარგი. ვაზი კი ქართლში თანდათან ფუჭდება, ხმება. აქ აგრეთვე მეტად გავრცელებულია მეხილეობა და სხვა ძვირფასი კულტურა. ჩვენ სასოფლო მეურნეობას დიდი მომავალი აქვს ქართლში, თუ მისი განვითარება ნორმალურად წავიდა, რადგანაც საქართველოს გულში ჩამარხული ძალები ჯერ სრულიად გარდუშლელია.

დღესდღეობით ქართლი ყველაზედ მეტად საჭიროებს საექიმო დახმარებას. მთელ რიგს სოფლებში მძვინვარებს სხვადასხვა სენი და მუსრს ავლებს მცხოვრებთ. დაუყონებლივი დახმარებაა საჭირო და ეს ლიტონი სიტყვა როდია. ამ ზაფხულაც არის სოფლებში ტიფი და რაღა იქნება ცივ ზამთარში? რესპუბლიკის უმაღლესი სანიტარული ორგანო სამაზრო ერობასთან შეთანხმებით **დღესვე** უნდა შეუდგეს სენთან ბრძოლას, თორემ ეს სენი იმდენ ზარალს მოგვცემს, რამდენიც ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია. ექიმები აქეთ იშვიათად მოიპოვება და ისეთი დიდი ფარგალი, როგორც ძეგვის და კავთისხევის სათემო ერობის რაიონია—სრულიად უექიმოდ არის მიტოვებული. ესევეა სხვაგანაც. თუ აქამდე სძლებდა ქართლი უექიმოდ, ამიერიდან ასეთი მდგომარეობის დატოვება ყოვლად შეუძლებელია. მკითხავებს სოფლად კიდევ დიდი გასავალი აქვს. ს. ახალქალაქში არის ერთი „მკვდრის მკითხავი", სადაც აუარებელი ხალხი აწყდება, რადგანაც თითო და მეტი მკვდარიც ოჯახში ყველასა ჰყავს. ეს მკითხავიც სარგებლობს მდგომარეობით და თვით ელაპარაკება პატრონებს ყველა მკვდრების მაგიერ და იღებს გასამრჯელოს. ჩემის შთაბეჭდილებით კოოპერატივები, სამკითხველოები, საკრედიტო საზოგადოებანი და სხვა დაწესებულებანი მრავალნაირ მიზეზების გამო ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე და ამათ დიდი დახმარება სჭირიათ, სკოლები ნახევარ ქართლში გასახსნელია, გლეხობა ბევრგან მეტად შეუგნებელია. ერთის სიტყვით, ქართლში კულტურული მუშაობა წინ გვიდევს, სამკალი ბევრია, მომკლები კი ჯერ-ჯერობით მცირეა და ზოგგან სულ არც კი სჩანან.

მიხ. მექანარიშვილი.

წერ. რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაქვეყნოთ ბ. შიო არაგვისპირელის იუბილეის ანგარიში. მიღებულია: ქართ. წერაკითხვის საზოგადოებისაგან—1000 მ., რკინის გზის პროფესიონ. კავშირისაგან—2000 მან., საველერინარო საზოგადოებისაგან—1000 მ., თფილისის სამეურნეო ბანკისაგან—1000 მ., საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოებისაგან—500 მ., დიდუბის ეკლესიისაგან—400 მ., ჭუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან—500 მ., თეატრის შემოსავალი 3267 მ. 90 კ., გაყადული სურათებისა—260 მ., სულ 9927 მ, 90 კ.,—ხარჯი იყო დაახლოვებით 3000 მან. პატივცემულ საზოგადოებას, რომელიც საღამოს დაესწრო და იმ დაწესებულებათ, რომელთაც თავისი წვლილი გამოიღეს ამ შემთხვევისთვის, ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო და თვით იუბილიარი შიო არაგვისპირელი დიდს მადლობას სწირავენ.

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო.

განცხადებანი

მოსკოვ-პეტროგრ. ვიოლინ. რამოსაფეთ

საყურადღებო!

უმორჩილესად ვთხოვთ ... ბოლოდ ... ახლად ჩამოსულ ქართველებს კეთილ ინებონ და რამდენიმე წამით შემობძანდენ ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული წიგნთსაცავ-სამკითხველოში. წ.-სამკითხველო ღიაა დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8 მდე. იკითხეთ წ.-სამკითხველოს გამგეს. სამკითხველოს გამგეს. სამკითხველოში შესავალი კარები „დიდი მთავრის" ქუჩით.

(2—1)

სად. ზესტაფონიდან სად. ხაშურამდე დავკარგე სასურსათო ბარათი № 7. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი ადრესით: სად. ხაშური, კონდუქტორ **დიმიტრი მუმლაძეს.** (1—1)

მილიციის კოოპერატივში მიღებულია სიმინდი

წევრებს შეუძლიათ შეიძინონ ფუთობით.

გამგეობა. (1—1)

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა

დიდუბის

კერძო სამკურნალო

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, (24—2)

იყიდება საოჯახო ნივთები

ხალიჩები, ჭურჭელი, ქალის ტანისამოსი და სხვ. იკითხეთ სემიონოვის ქ. № 4 ბინა № 1.

(2—2)

ექიმი **ბ. დ. კეკელია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეუხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116.

ტელ. 14—28.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე** იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება **და** მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ხაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის **უნივერსიტეტისა მ. ბ. ბეგნაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა ჯასხივებით, დიდი სალენოიდი და არსენვალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღა, მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი

ექიმ **კ. თ. ტყეშელაშვილის**

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი **რ. ბ. შიშლო-ხახაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

სახალხო კინო-თეატრი

ქალაქის შრომის ბირჟა (მადათ. და ბერიატ. ქუჩ. კუთხე.)

პარასკევი 1 აგვისტო: ეზოში საღამოს 6 საათიდან გაიმართება **ცეკვა**, საღამოს 9 საათიდან ეკრანზე: **„ცისფერ ტბასთან"**. **შაბათს 2 აგვისტოს:** სახალხო კინო-თეატ. პირველად გაიმართება **დიდი კონცერტი** შემდეგი პროგრამით: ბ. ი. ზალიპსკი: ნაწყვეტი ოპერა „ტოსკადან". ლ. ი. ისეკი: რომანსები და სხვადასხვა ნაწყვეტები ოპერიდან. ს. მ. მონდენოგას: ნაწყვეტები ოპერიდან და რომანსები. მ. მ. ვიშემირსკის: ნაწყვეტები „რიგოლეტოდან" და მ. იკ. კირილოვის: რომანსები. რომანსები ა. ა. ცენოვსკის აკომპანიმენტით.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

კვირა 3 აგვისტო ბავშვების დღესასწაული ბ ნ ი. მ. **სუნდუკიანცის** ხელმძღვანელობით. **ცეკვა-თამაში, სადარბაისლო ეფექტებით, კონცერტის განყოფილება, ბავშვთა სინემატოგრაფი, ორკესტრი.**

დასაწყისი საღ. 5 ნახ. საათზე.

საღამოს ეკრანზე: „ცისფერ ტბასთან" ოთხ მოქმედ. დრამა. სახუმარო სურათები.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

მთელი შემოსავალი დანიშნულია უმუშევართა უფასო საჩაიესათვის. (1—1)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1